ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48212254**
თარიღი:**13/08/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს განახორციელონ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობა არსებული პროგრამების / ქვეპროგრამების / საფუძველზე ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

3. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, განაცხადის ფორმებზე მუშაობის დასაწყებად.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM